

მთაწმინდა

ფასი 1 მან.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე...
ნომერი ყველგან 1 მანეთი.
სი როგორც პირველ გვერდზე...
პეტეიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვნად...
განცხადება 10 მანეთი. ნისია განცხადებები
არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის
აღრესი: თბილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16-62.

საქართველოს სახელმწიფო კაბინეტი 1919 წლის აპრილის 17-ს.

ლანჩუტის რაიონის კოოპერატივების თანამშრომელთა საბჭო მწუხარებით აუწყებს თავის ახმანაგებს გარდაცვალებას ლანჩუტის რაიონის სახ. „შეღვათი“-ს თანამშრომლის

გარო სინსაჰის ასულისა

დამწუხრებელი შვილები: ოლია, კოკია და ვარვარა კალანდაიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი მათი ერთადერთი ნუგეშის და იმედის, ძვირფას დედის
გალა ივანე მგლოვლიშვილის ასული კალანდაის
სკლის მოსახსენებლათ გადახდილ იქნება ხუთშაბათს, 7 მარტომობისთვის, დ. ხიდისთავში, წმ. გიორგის ეკლესიაში.

საზღვრების საკითხი

საზღვრების საკითხმა კვლავ წამოიჭრა თავი. და ის მანამდის იარსებებს, სანამ დღევანდელი ბურჟუაზიული წყობილება აღაგს არ დაუთმობს ხალხის მშარტველობას.

ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, ვითომ ჩვენი მთავრობა და დემოკრატია ყურადღებას არ აქცევენ საზღვრების საკითხს. მხოლოდ ბალშევიკ-კომუნისტები და ზურაბოვის ოჯახის რუსეთელი სოციალდემოკრატები უარყოფენ საქართველოსათვის ყოველივე საზღვარს, რათა... ამ გზით რუსეთის საერთო საზღვარი მოაქციონ საქართველო. ჩვენი დემოკრატია კი, და პირველ ყოვლისა მისი ხელმძღვანელი სოციალდემოკრატია, საზღვრების საკითხს მეტად დიდ ყურადღებას აქცევს, რაც მან არა ერთხელ დაამტკიცა როგორც სიტყვით, ისე საქმით.

მაგრამ საზღვარი ჩვენი არ არის ფეტიში, არ არის ჩვენი, რომელსაც ბრძოლა უნდა ვემსახუროთ და ყოველგვარი მსხვერპლი უნდა შევსწიროთ. ეს მნიშვნელოვანი განსხვავება ჩვენსა და ყველა ჯურის ნაციონალისტთა შორის.

როცა ჩვენ რუსეთის ცხოვრების სინამდვილეში საქართველო არ ვთვლით საქართველოსათვის ავტონომია მოგვეთხოვა, მცონარე ინტელიგენტთა გჯუფო თავდაზნაურობის ლოცვა-კურთხევით მამულის უარყოფის სახელით გვნათლავდა. ისინი მაშინ ავტონომიის მზეს ლოცულობდნენ, ჩვენ კი ამ დროს რუსეთის დემოკრატიათა ერთად ვიბრძოდით თვითმპყრობელობის დასაგრეველ და საქვეყნო ვაცხადებდით: ავტონომია ჩვენთვის არ არის იდეალი, დღეს მას ჩვენ არ ვთხოვლობთ, მაგრამ შესაძლოა გარემოება ისე შეიცვალოს, რომ სრულს დამოუკიდებლობასაც დავუპირით მხარი თქო. ასეთი ვითარება შარშან მოგვევლინა და 26 მაისი ნაცნობი ამართლებს ჩვენს ნათქვამს.

მას შემდეგ არც ისე დიდი დრო გასულა, მაგრამ ერთი მოწინააღმდეგე უკვე ჩამოხტა ჯიუტობის მერხიდან. აი რას სწერს ბნი სანსონ ფირცხალავა „სახალხო საქმე“-ს 3 აგვისტოს ნომერში ერობების პოლიტიკის და ოსების შესახებ: „ჩვენი ერობანი ავტონომიებს წარმოადგენენ და ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ ადგილობრივი მუშაობის და თვით-მოქმედების განვითარება აუცილებელი პირობაა ჩვენი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა...“

მაგრამ ყოველი საკითხის უკიდურესობა ადვილად შეიძლება ბოროტებად გადაიქცეს. ჩვენი ერობა დიდს სეპარატულ მიდრეკილებას იჩენს... და თუ არა სასურველია ბიუროკრატული ცენტრალიზმი, არა ნაკლებ საზიანოა ისეთი მდგომარეობა, როდესაც ნაწილები არ არიან გაშსკვალულნი მტკიცე კავშირის აზრით და არ ემორჩილებიან ერთ სახელმწიფო გეგმას.“

ბნი ფირცხალავა კიდევ უფრო გარკვევით სვამს საკითხს, როცა ის ოსების „ავტონომიას“ იხსენიებს.
დღეს იმავე იდეურ ჯაუჭობას, რასაც ავტონომიის საკითხში ჰქონდა ადგილი, საზღვრების საკითხში იჩენენ ჩვენებური ნაციონალ-დემოკრატები. ამ საკითხში მათთვის

არ არსებობს არავითარი მოსაზრება: არც საერთაშორისო ხასიათის, არც ადგილობრივ ძალთა განწყობილების და არც სხვა რამ. ისინი დაუმორჩილებია ერთს ფეტრეს, დაუბრ-მავებია ერთს კერპს: ეს კერპია საქართველოს გეოგრაფია და ისტორია. გაზეთ „საქართველოს“ ხელმძღვანელები ისე მავრათ შეუპყრია ამ კერპის გრძნულ ძალას, რომ სარედაქციო წერილშიც კი ასეთი სამიტინგო სიტყვებით გვიმასპინძლებიან:

„ჩვენი მენშევიკები უფრო გამობრძმედილი იყვენ და არიან სხვადასხვა პარტიულ კონგრესების რეზოლუციებში, ვინემ საქართველოს ისტორიაში“ და მიტინგურ მუქარით მიმართავენ ჩვენს მთავრობას: „ყოველი ნაქერი მიწა, რომელსაც ჩვენი მთავრობა დაუთმობს მტრებს, ნაღმების სარდავად იქცევა და მისი აფეთქება მთავრობას გადაიტანსო.“

უროვნულ დემოკრატების ამ მუქარას რომ კბილი გაუსინჯოთ და შევადაროთ მათ მიერ სავალდებულოთ აღიარებულ ისტორიულ პრინციპს, მივიღებთ შემდეგს: საქართველოს რესპუბლიკა ან უნდა დარჩეს დამოუკიდებელ ტერიტორიის ამარა, ან და ეხლანდელი ყაზახის მახრა და მთელი ლაზისტანიც კი თავის უდავო ტერიტორიად გამოაცხადოს. ასეთი მოქმედება, ასეთი ურა-ტაქტიკა პართლატ რომ ააფეთქებდა ჩვენს მთავრობას, რაც შეიძლება სასიხარულოც იყოს ნაციონალ დემოკრატებისათვის, მაგრამ სასურველი არ არის ქართველ დემოკრატისათვის.

საზღვრების საკითხის გამო ერთხელ კიდევ იქულებული ვართ განაცხადით: ჩვენ საკითხს მივიჩნევთ დავიცავთ ჩვენი დამოუკიდებლობა და დემოკრატული წყობილება. ეს არის დღეს ჩვენი სამოქმედო გეგმა. საზღვრები მხოლოდ საშუალებებია მივიჩნევთ ამისთვის და საზღვრების საკითხში ჩვენ ვიხელმძღვანელებთ როგორც ეთნოგრაფიულ და ისტორიულ პრინციპით, ისე საერთაშორისო ძალთა განწყობილების თვალსაზრისითაც. ჩვენ ნაციონალისტურ ინტელიგენციანზე ნაკლებ არ ვაფასებთ საქართველოს გეოგრაფიის და ისტორიის და არც მანა-პანათა ანდერძს; მაგრამ ჩვენი მუშაობის მიზანია არა გაყენებული პრინციპები, არა ერთი რომელიმე წოდების საშასხური, არამედ მთელი ქართველი ხალხის კეთილდღეობა.

საზღვრების საკითხიც ქართველ ხალხს, მისი დემოკრატის ინტერესების თვალსაზრისით უნდა იქნას გადაწყვეტილი.
ასეთია ჩვენი პროგრამა, ჩვენი მრწამსი და გეგმავითარი ლანძღვა-გინებით ამ გზას ვერ დაგვატოვებებენ.

უმაღურნი

სალხის სიბრძნემ უმაღურობა ერთი მეტად არა სიმპატიური პირუტყვის თვისებად გამოიყვანა.
მართლაც რა არის უმაღურობაზე უფრო სათაჯილო და საზარელი: თქვენ ცდილობთ დაცემულს ძაში ხელი გაუწოდოთ და ფესვზე წამოაყენოთ, თუმცა არავითარი საამისო მოვალეობა არ გაწევთ. ის კი უმაღურობით გიმანსპინძლებათ.
ცოტადთუ ბევრად რიგიანი ცხოველები, მაგალითად, კატა, ძაღლი და თვით ადამიანის მონათესავე მაიმუნიც კი ცდილობენ სა-

მაგიერო გადავიხადონ და სიკეთისათვის რითიმე გასაიპოვნონ. უმაღურობა ცხოველმა კი... ის მუდამ დინგ დაშვებულია და თავს მხოლოდ იმისთვის თუ აიღებს მიღლა, რომ რაიმე უსიამოვნება მოგაყენოს.
მკითხველებს წაიხსენებთ კლემან-სის ნოტა, რომელიც საქართველოს მთავრობას პროტესტს უცხადებს იმის გამო, რომ ის თურმე ხელს უშლის სიზხეთს, რომ მან მიიღოს სურსათი. ვიცით-ავრთვე საქართველოს მთავრობის პასუხიც: საქართველოს მთავრობა მიუხედავად დიდი სასურსათო გაჭირვებისა, ძალას და ღონეს არ ზოგავს, რომ სომხეთს დაეხმაროს.

რითი გადაუხადეს მადლობა ჩვენს მთავრობას? პირველად იმით, რომ სომხეთი სისტემატიურად არ უბრუნებს ჩვენს რკინის გზის უწყებს უთვალავ ვაგონებს და მეორეც იმით... რომ მოკავშირე სახელმწიფოების საბჭოს თავმჯდომარის წინაშე გვაბეზღებს—ხელს გვიშლიანო.
ჩვეულებრივ ურთიერთობაში ამ საქციელს ასე მონათლავდნენ: ვაგონების დაუბრუნებლობას სხვისი ქონების მითვისებას უწოდებდნენ, ხოლო საზავო კონფერენციის შეცდომაში შეყვანას—ცილისწამებას.
მაგრამ უმაღურობასთან რას გააწვობ, უმაღური ცნებათა სულ სხვა კატეგორიის მკუთვნის.

პრესა

„ნორ აშხატავორი“ (№ 155) საზღვრების საკითხის შესახებ შემდეგს სწერს:
„სომხეთის და საქართველოს ხელმძღვანელ წრეებში დამაღებულა აზრი მოლაპარაკება ახლათ დაიწყონ საზღვრების სადავო საკითხის მშვიდობიანი გზით გადასაქრელათ.“

„ამ შემთხვევაში სომხეთის და საქართველოს დემოკრატის, რომლებიც განიცდიან ეკონომიურ და პოლიტიკური სიმძიმით, გამოწვეულს იმ ანტაგონიზმით, რომელიც არსებობს მათ ხელმძღვანელ წრეებში, არ შეუძლიანთ არ მიესალმონ ამ ახალ ცდას.“

მართალია, ქართული პრესის დიდმა ნაწილმა ტირილი დაიწყო ამ მოლაპარაკების გამო და იარაღის უღარუნით ემუქრება სომხეთს, მაგრამ ისიც მართალია, რომ ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისით თანხმობის ჩამოგდება სომხეთთან დღის მზრძანებელი მოთხოვნაა.

ჩვენ გგონია, რომ ორ რესპუბლიკის შორის თანხმობის შექმნა ძალიან ადვილი იქნება, უკეთეს მოლაპარაკე მხარეები ერთმანეთს არ შეხვდებიან წინათვე მიღებული „საბოლოო“ გადაწყვეტილებით—თუ ახალ-ქალაქიც და ლორიც ჩემია და არავის არ დავუთმობო.

ახლანდელ პოლიტიკურ პირობებში ორი მეზობელი რესპუბლიკების ერთად გამოსვლა გარეზე ქვეყნების წინაშე შეთანხმებულს პოლიტიკით, დიდ გავლენას მოახდენს მათი ბედ-იღბლის გადაჭრის საკითხზე. რამდენათაც ცოტა სადავო იქნება, იმდენათ კონფერენციისთვის ადვილი იქნება საკითხის გადაჭრა.

მაგრამ არსებული ანტაგონიზმი გამოითქმება არა თუ მართლ აქ, ქუჩის ლაპარაკში, ან პრესაში, არამედ—ყველა იმ ალაგებშიაც, საცა თავმოყრილია ხალხობედის ნასკვი. გააჯობრება ამ ალაგებში არა თუ უსაზავო ხარჯება დიდი ენერჯის, არამედ აზარალებს კიდევ სერთო საქმეს, პრინციპს, განსაკუთრებით საქართველოს ინტერესების თვალსაზრისით საქიროა, რომ ეგ თანხმობა მოხდეს რაც შეიძლება მალე.
„იმათ, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ისარგებლებენ სომხეთის მძიმე მდგომარეობით, ძალიან შეცდებიან. ჩვენთვის საქიროა თანხმობა და არა ძალადობა.“
ამ ამონაწერში ორი მომენტია ღირსშესა-

ნიშნავი. ერთი ის, რომ „აშხატავორი“ აღიარებს შეთანხმებულ მოქმედების საქიროებას, თუმცა საქმით ის და მისი პარტია მუდამ წინააღმდეგია ამ შეთანხმების. მეორე ის, რომ „აშხატავორი“ აფრთხილებს ყველას: ნუ ისარგებლებთ სომხე ის მძიმე მდგომარეობით, როცა საზღვრების საკითხის გადაჭრას შეუდგებითო.
„დაშაქუტოტინის“ მოღვაწეობიდან ჩვენ სულ სხვა მაგალითები ვიცით, მაგრამ ისიც კარგია, რომ გაჭირვების დროს მაინც თქვა: გაჭირვებულის მძიმე მდგომარეობით ნუ ისარგებლებთო!

ქალაქის საბჭო

4 აგვისტოს სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.
ქალაქის მოსამსახურეთათვის მეორე მომატების მიყენის შესახებ მოხსენებას აკეთებს კონიევი. ის აღნიშნავს რა ცხოვრების გაძვირების გამო ამ ახალ მომატების მიღების აუცილებლობას გამგეობის სახელით მოითხოვს, რომ ეს მომატება უდრიდეს ჯამაგირის 58% ვადიდებას. ის განმარტავს თუ რათ მოხდა ის, რომ სატარიფო პალატა—ის ავტორიტეტული ორგანო, რომელსაც საშუალება აქვს უკეთ გამოაკვიროს ცხოვრების გაძვირების ღონე და მის შესაფერისად ხელფასიც გააღილოს, აი ეს ორგანო აწესებს 35 პროც. და არა 58 პროც. მომატებას. ეს, ამბობს მომხსენებელი, გამოწვეულია იმით, რომ სატარიფო პალატამ მიიღო სახეში ცხოვრების გაძვირების ზრდა 1 აპრილიდან, მაგრამ ქალაქის გამგეობამ გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ ქალაქის მოსამსახურეებს მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება დღითი დღე ძვირდება, არ მიუღიათ არავითარი მომატება 1 იანვრიდან, საჭიროდ დაინახა ცხოვრების გაძვირების ზრდის გამოანგარიშება არა 1 აპრილიდან, არამედ—1 იანვრიდან.

1 იანვრიდან 1 აპრილამდე ცხოვრება გაძვირებულა 23 პროცენტით, 1 აპრილიდან დღემდე კი 35 პროც. და აქედან ნათელია, რომ ვისაც მომატება არ მიუღია 1 იანვრიდან, დღეს უნდა მიეცეს ცხოვრების გაძვირების მიხედვით 58 პროც. მომატება. მოსამსახურეთა მეორე მომატებით დასაკმაყოფილებლათ საქიროა, ამბობს მომხსენებელი, 10,480,000-მდე მანეთი. ამ თანხის მოცემა კი ჩვენთვის შეუძლია შემდეგ წაროგნს: ტრავის ბილეთების ფასის მომატებას, სუბსიდიას, რომელიც ქალაქმა უნდა მიიღოს მილი იის შესანახად და სანიტარულ გადასახადის შეკრებით.

ივ. გომართელი აღნიშნავს, რომ ჯამაგირების მომატება ვერ შესცვლის ცხოვრების გაძვირების ზრდას, მაგრამ სანამ გამოინახებოდეს რადიკალური საშუალება ამ ცხოვრების გაძვირების შესაჩერებლათ, აუცილებლათ საჭიროა მივიღოთ როგორც პალიტიკა ჯამაგირების მომატება. ჯამაგირების მომატება ეს არის ფუნქცია იმ ავტორიტეტულ ორგანოსი, რომლის დაარსება შესძლო ჩვენმა დემოკრატამ, ე. ი. სატარიფო პალატისა და მისი დადგენილება ჩვენ არსებითად მივიღეთ, ხოლო ის განსხვავდება, რომელსაც ჩვენ ვხედავთ მომატების რაოდენობაში.
ჩვენი ფრაქცია ეთანხმება გამგეობის აზრს იმ მომატებაზე ერთი შესწორებით. მომატების დროს უნდა იქნეს სახეში მიღებული სპეციალური ცოდნით აღჭურვილი და უბრალო მუშის შრომის განსხვავება. მათი შრომის ერთნაირად დაფასება ძალიან ცუდათ იმოქმედებს პირველთა ფსიქოლოგიაზე და შედეგათ შეიძლება მივიღოთ ის, რომ სპეციალისტი მუშები ჩვენ გავაჭაქცევო.

გველახიანი ეთანხმება გომართელის აზრს, მხოლოდ მოითხოვს, რომ სატარიფო პალატის დადგენილების მიღება სავალდებულოთ იქნეს გამოცხადებული.
გოთუა იზიარებს გამგეობის მოსაზრებას, მხოლოდ მოითხოვს, რომ იქნეს ზომები მიღებული სურსათ ნაწიკავის ვასიაფებლათ.
აფხაზი მოითხოვს ჯამაგირის ერთნაირად გადიდებას როგორც ხელოსანს, ავრთვე უბრალო მუშებისთვის.

პარიზში მიღებული ცნობით უნგრეთში ბელაქუნის მთავრობა გადადგა. შედგა სოციალისტურა მთავრობა.

ამერიკის სენატმა დაიწყო საზავო ხელშეკრულების პირობების განხილვა.

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. პარლამენტს შემოდგომაზე მოიწვევენ.

პოლონეთის სეიმმა დაამტკიცა გერმანიასთან ხელშეკრულება.

ჯაჯანაშვილი მოითხოვს რომ უცვლელად იქნეს მიღებული სატარიფო პალატის მიერ დაწყებული მომარტება.

ბ. ჩხიკვიშვილი განმარტავს, რომ სატარიფო პალატის დადგენილებისა და გამოგობის მოსახრების შორის არსებითად არავითარი განსხვავება არ არის, მხოლოდ სატარიფო პალატას სახეში აქვს მომარტება 1 აპრილიდან და რადგან ქალაქის მოსახლურებს 1 იანვრიდან ა ავითარი მომარტება არ მიუღიათ, ამიტომ საჭირო იყო მომარტება გამოგვეზარდებოდა 1 იანვრიდან, ეს კი მოითხოვდა 58% მომარტებას. ეს მომარტება მოლიტურათ გამომდინარეობს თვით სატარიფო პალატის დადგენილებიდან.

მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება: გატარებულ იქნას მერვე მომარტება—58% ით, შეტანილ იქნას განსხვავება ხელოსან და უბრალო მუშის შრომის შეფასებაში, ვინც ღებულა ულუფას, იმას გამოეციტოს ჯამაგირიდან 150 მან. და მიეცეს არჩეულ მოსახლურებს (ვილიკა და სხ.) მომარტება—510 მან. რაც შეეხება მუშების მოთხოვნას, რომ ეს მომარტება გატარდეს 1 ივლისიდან, ბ. ჩხიკვიშვილი წინადადებით დაადგინეს გადაეცეს ეს საკითხი სათანადო დასკვნისათვის ავტორიტეტულ ორგანოს—სატარიფო პალატას.

კონიევის მოხსენების თანახმად, ტრამვის მოსახლურეთა თხოვნას „ბურის მომარტების“ ძირითად ჯამაგირში ვადარიცხვის შესახებ, არ გამოუწვევია აზრთა წინააღმდეგობა. მიღებულ იქნა, მოხდეს ამ მომარტების ძირითად ჯამაგირში ვადარიცხვა 1 იანვრიდან.

ბ. ჩხიკვიშვილი აკეთებს ვრცელ მოხსენებას სანიტარულ ვადასახადის გვეფობრივ ვანაწილების შესახებ თფილისის სავაქრო-სამრეწველო და სხვა ამგვარ დაწესებულებებზე. ამ ვადასახადის აღებით ქალაქის სალოროში შემოვა 52,200,500 მ. ეს შემოსავალი ვანაწილდება შემდეგ ნაირათ: 25 მილიონი ვადიდება წყალსადენისათვის, 8 მილიონი ქუჩებისა და ვანათებისათვის, 6 მილიონი ქალაქის სისუფთავისათვის, 10 მილ. სავადმყოფოებისათვის და დაახლოებით 11 მილ. ქალაქის სხვადასხვა ხარჯებისათვის.

გოთუას წინადადება რომ წყალსადენისთვის ვადიდო 50 მილ. მ. უარყოფილ იქნა. დასასრულ მიიღეს რა გამოგობის მიერ წამოყენებული წინადადება, დასძინეს, რომ დაწესდეს სასტიკი კანტროლი რათა იმათ, ვისაც ეს ვადასახადი ვაწეწრა, ვერ შეესძლოს მისი კომპენსაცია, სამაგიროს აღება მომხმარებელთა ხარჯზე.

სპანასკნელი ცნობები

ინგლისელების მიერ კავკასიის დატოვების საკითხი.

რადგანაც არის ცნობები ინგლისელების მიერ კავკასიის დატოვებისა, საქართველოს და ადერბეიჯანის მთავრობებმა მიმართეს ინგლისის სარდლობას, რომ ამ რესპუბლიკებში მყოფი ჯარები დარჩენენ ისევე ამ რესპუბლიკებში. ეს ზომა ვანახილება ორივე რესპუბლიკის მთავრობების მიერ, როგორც ვარანტია ამიერ კავკასიის რესპუბლიკების ხელშეუხებლობისა ეხლანდელ ვადამავალ ხანაში, როცა ამ რესპუბლიკების დამოუკიდებლობა ვერ არ არის ცნობილი კონფერენციის მიერ. საქართველოს და ადერბეიჯანის ნოტები ინგლისის სარდლობამ ვადასცა ლონდონში.

გენ. ბარათოვის მისია.

გუშინ გენ. ბარათოვმა ხელმეორედ ინახულა საქართველოს რესპუბლიკის სავარეო საქმეთა მინისტრი ე. პ. გეგუკერი.

გენ. ბარათოვმა კიდევ ვამეროა, რომ დენიკინს საქართველოს მიმართ არავითარი მტრული მიზნები არა აქვსო. ბარათოვის სიტყვით, მას მინდობილი აქვს მშვიდობიანის გზით მოავაროს ვველა ის ვაუგებრობანი, რომლებიც მოხალისეთა ვარს აქვს საქართველოსთან.

გაეცნო რა საქართველოს მთავრობის შეხედულებას ვაგარის ოლქისა და ვეხადირის შესახებ, გენ. ბარათოვმა მედი ვამოსთქა,

რომ ამ კითხვაში ვამოინხებთა ნიდავთი შეთანხმებისათვისაო.

ინგლისის მისიის ცნობა.

თფილისი. 5 აგვისტო. კავკასიაში ინგლისის ვარის მთავარი შტაბის სამხეგროა ვანყოფილების უფროსის ვენ. ზიისავან შემდგენი ოფიციალური ცნობა მოვიდა: 1) ივლისის პირველ რიცხვებში სომხეთის მთავრობას შემთხვევა ჰქონდა თათართა სოფ. ბუიუკ-ვედში (სად. პავლოსთან ახლო) ვარი ვეგ-ზავნა. სანამ ადვილობრივ მთავრობასთან მოლაპარაკება იყო, სომხეთის ამ ვარს მუხანათურად თავს დაესხა თათრის ვარი და იძულებულ ჰყო უკან დახეხა. 6 ოფიცერი მოუკლეს და 9 დაუჭრეს. ასზე მეტი ვარისკაცი მოკლული და დაჭრილია; 2) ივლისის 10 ამის ვამო სომხეთის მთავრობამ ბუიუკ-ვედის დასაპერად ვაუგზავნა ვარი, რომელშიც დაახლოებით 5,000 კაცი იყო. 11 დღის ბრძოლის შემდეგ სამხედრო მოქმედება შესწყვიტეს, ვაგრამ სოფელი ბუიუკ-ვედი ვერ აიღეს, რადგან სოფელს კარგად მოწყობილ თხროლებიდან ტყვიისმფრქვევლებით და ზარბაზნებით იცავდნენ; 3) თათრებს ოსმალთა პოლკოვნიკი ხალილ ბეი ხელმძღვანელობდა; 4) ბუიუკ-ვედთან ბრძოლის დროს ნახიჩევანში მდგომარეობა, რომელიც რამოდენიმე დღის წინ საშიში იყო, უფრო ცუდი შეიქმნა და ივლისის 19 თათრებსა და სომხებს შორის შეტაკებით დამთავრდა. ინგლისის სამხედრო წარმომადგენელმა, კაპიტანმა ვეილტმა, მდგომარეობის ხელმძღვანელობა თავის თავზე მიიღო. ბრძოლა ივლისის 25-მდე ვაგრძელდა. ამ დროისთვის ადვილებს თათრის ვარი ვარს შემოვრტყა და ვარეშე ადვილებში მიმოსვლა შესწყვიტა. 25 ივლისის სომხებმა ზანგეზუროსკენ უკან დაიხიეს. 4) ცნობა, მიღებული აფხაღისში ივლისის 31. (ალბიწნულით თავრიზი 29 ივლისს) აღნიშნავს, რომ ნახიჩევანში ინგლისის მისიის მთელმა შემადგენლობამ (კაპ. შეინდტი და ინტიკი და ლეიტენანტი ვონსონი) ორი მოსახლურე ქალით, რომლებს ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტში მსახურებდნენ, მოასწრეს 28 ივლ. რკინის გზით სამხრეთისაკენ წასვლა. ისინი 29 ივლისს თავრიზში მშვიდობიანათ ჩამოვიდნენ. (საქართ. დეპ. საავ.)

ერევანში.

ერევანის გუბერნიაში სომეხ თათართა შეტაკების ვამო, როგორც ადერბეიჯანის მთავრობის ვახეთი იუწყება, ვაგზავნილ იქნება ინგლისის ვარი.

დეკრეტი

(საქართველოს დემუხათა სავენტო) 5 აგვისტო

გალხვამიკაშის ცნობები.

მოსკოვი. აგვისტოს 4. (ცუდი ამინდის ვამო რადიო დეკრეტების მიღება ვამხედუ-ლია). ვაფიცები მთელ ვეიცარიასი იზრდება. ბაზელიდან ვაფიცები სხვა ქალაქებსაც მოვლო. მთელი კავკასია აღშფოთებულია დენიკინის წინააღმდეგ. კომუნისტურ აგიტაციას არავეულებრივ თანავრძნობით ხედებიან. ბაქოში მრავალრიცხოვან კრებაზე ვამოიტანეს რეზოლიუცია: დენიკინის წინააღმდეგ დაუზოვავან იბრძოლონ. ინგლისელები საჭაროდ სცლიან ადერბეიჯანს, სომხეთს და საქართველოს. დენიკინის ვარი პანიკა. დენიკინის მიერ ვაწვეული ვლებები საბუთო რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე უარს აცხადებენ. ლენქორანის ვარი უარს აცხადებს საბუთო რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე. უროლზე ჩვენი შეტევა ვრძელდება. კიევი. აგვისტოს 4. დენიკინის ზურგში ვლებთა აჯანყება იზრდება. წითელმა ვარმა ალიოშკი დაიქირა. ხელში ჩავადო ზარბაზნები, თოფები და ტყვიის მფრქვევლები. ბეერის თეთრი ჩვენი მხარეზე ვადმოვიდა. ტავანოვოს ქარხნებში, სადაც სამხედრო მასალებს ამზადებენ, მუშები ვაიფაცნენ. ეკატერინოსლავში 30,000 მუშა. შიმშილობს. მუშებში მღელვარება. მოკავშირეები თათბირობენ, თუ როგორ უზრუნველყონ მოკავშირე ქვეყნები სურსათით და ნახშირით. ინგლისის ქვა ნახშირის მალარობებს მუშების ვაფიცვა იმედს არ იძლევა, რომ ინგლისიდან ნახშირი მოვიდეს. მოკავშირეების მთელი იმედი ამერიკაზე დამყარებული. 28-ის არმიის შტაბი, დამარცხებულ კოლჩაკელის წითელი ვარისკაცები ტყვეთ არ მიყავთ და იქვე ხეცეტენ. ტაშკენტადან იუწყებიან, რომ ავღანელების მოქმედება ინგლისელების წინააღმდეგ კარგათ ქმდის. ავღანელებმა მთელი სამხრეთ ნაწილი (?) დაიქირეს. ავღანის ვარმა ბრძოლის შემდეგ ინგლისეთა ვარი დამარცხა. რეგულიარულ ვარს ვარდა ავღანელებს ყავთ 70,000 კაცივან შემდგარი პარტიზანული

პოლკები, რომელნიც ინგლისელების წინააღმდეგ ვამოსასეღელათ მზით არიან.

ლიონის რადიო სადგურის ცნობა.

ამერიკის წარმომადგენლები ვანავრძობენ თავის ენერგიულ მოთხოვნებს, რომ დასავლეთის ფრანკო ბულვარეთს ვადეცენ. ამერიკის აზრი სტამბოლის მინდატის შესახებ ვერ ვამორკვეული არაა. ამერიკის წარმომადგენლები პირდაპირ ამბობენ, რომ ამერიკის დამოკიდებულების ვამორკვევა არ შეიძლება, ვიდრე ხელშეკრულება დადასტურებული არ იქნება.

უნგრეთში მდგომარეობა უმჯობესდება: რუმინელების ახალმა ვამარჯვებამ კონფერენციის იმედი მისცა, რომ საბუთო მთავრობა ვადეგება, რაც მოლაპარაკებას ვადივლებს.

ქველ რუსეთის წარმომადგენლებმა, რომელნიც პარიზში იმყოფებიან, საზავო კონფერენციას თხოვნით მიმართეს, რათა შეეცდილი იქნეს ინგლისელების ვადამრეკვილები რუსეთიდან ვარების ვაყვანის შესახებ.

ამბობენ, რომ ინგლისელებმა წინადადება მისცეს, არხანგელსკში დიდძალი იარაღი და ამუნიცია დასტოვონ, რათა რუსებმა ბალშევიკების ვავის დაცვა შესძლონ, ვაგრამ ეს წინადადება უარყვეს, რადგან არხანგელსკმა არ ისურვა თავის დაცვა მშინ, როდესაც მას შიმშილით სიკვდილი მოელის. შვიარობული წინააღმდეგობის ვაწვევა ბალშევიკებს საბუთს მისცემდა მცხოვრებთა ამოსახოცად. ცნობებია, რომ მცხოვრებლებმა ვადამრეკვიტეს დამშვიდებით მოუკადონ თავის ბედს, ბალშევიკების ხელით ამოხოცვას, როცა ინგლისელები წავლენ.

საფრანგეთსა და გერმანიას შორის სავო-სტო დამოკიდებულება ივლისის 31 ვანახლდა. ვარშავიდან იუწყებიან, რომ პოლონეთის სეიმმა გერმანიასთან ხელშეკრულება დამტკიცა 285 ხმით 31 წინააღმდეგ.

ცნობამ, რომელიც დღეს დილით პარიზში საზავო კონფერენციამ მიიღო ბელაქუნის ვადადგომის და ნამდვილ სოციალისტურ სამინისტროს შედგენის შესახებ დიდი შთაბეჭდილება მიიღო.

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, სტოლბერგი უკვე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. ვარის სარდლობის ადვილი ვენერალ მანერჰეიმს მისცეს. მინისტრთა კაბინეტი ვადადგვა, ვაგრამ პრეზიდენტის თხოვნით, პარლამენტის მოწვევამდე დარჩება. პარლამენტს შემოდგომაზე მოიწვევენ.

ფრანგული პრესის ცნობები.

ამერიკის სენატმა საზავო ხელშეკრულების პირობების ვანხილვა დაიწყო.

ინგლისური პრესის ცნობები.

ვენერალი ბომი ბულაქმუში დაბრუნდა და ბელაქუნი დაარწმუნა ვამოსულიყო მთავრობიდან.

ბულგარიაში მრავალი იარაღი და ამუნიცია არის, რომელსაც მოკავშირეების წინააღმდეგ ვამოიყენებენ, როგორც კი ვავის პირობები ცნობილი იქნება. კრანტში, სადაც მოიყარეს ეგრეთ წოდებულ ბულგარეთის „დასახლებულებმა“, ვენერალ ბუასიმ აკრძალა კრებები და ბრძანება ვასცა, რომ ყოველ ბერძნის სახლზე საფრანგეთის დროშა აღმართონ.

ახალი აგებები

მთავრობის სტამბა. შრომის მინისტრის ამხანაგმა ერადემ მთავრობის დადგენილების თანახმად შეადგინა კომისია, რომელსაც ვადავლებული აქვს შეიმუშავოს საკითხი ყველა არსებულ სტამბათა შეერთების შესახებ. კომისიამ ეს ვავლება უნდა ვანახორციელოს 1 სექტემბრამდე.

სატარიფო პალატის ვანყოფილება ქუთაისში. ქუთაისის პროფესიონალურ კავშირთა საბუთო საკითხი აღძრა იმის შესახებ, რომ ძლიერ სასურველი იქნებოდა ქუთაისში სატარიფო პალატის ვანყოფილების დაარსების შესახებ.

ავანსი ბეჭდვითი საქმის მუშებს. სატარიფო პალატის პრეზიდენტმა ნება დართო მიეცეს ქუთაისის ბეჭდვებს ახალი ტარიფების ანვარიში 25 პროცენტი. ახალი ტარიფი დაწესებული იქნება 1 აგვისტოდან.

მეომართა დამხმარე კომიტეტმა ვანვაგრობის ვადილი 513 მ. ს. სალბინოში შეგროვდეს.

იარაღის აღმოჩენა. 4 აგვისტოს სისხლის სამართლის მილიციამ მორდურ ფარისმანის ბინაზე, მინკიცევის ქუჩაზე, აღმოაჩინა ვინტოვკა და ხელის ყუმბარა, ფრისმანი შეიპყრეს.

ბორჯომში. შაბათს, 9 აგვისტოს, ბორჯომში, მინერალურ წყლების პარკში, წითელ

ჯვრის ბავშვთა თევზისიფარის და ბორჯომის მინერალურ წყლების ბალნეოლოგიურ ვანყოფილების სასარგებლოდ ვამოარტება დიდი სერიოზობა ღაქარია ბუჩუკეთი უსწინდელად ვე მუსიკა, ციმკა, საბავშვო სოციალიზმი, სხვადასხვა ვასანოვებია, კეთილი ქავეყე ყვაველები და სალოოს ქართული სიმღერები დ. არაყიშვილისა, კაბარე, მუსიკალური გრიმისი, ტ. ე. ელვეცი, ქნ ტრუშოვა, სანდრო კორანა და სხვები. დასაწყისი საღამოს 4 ს.

აბრეშუმის პარკის შესყიდვის შესახებ მთავრობამ დაადგინა: 1) წარსული წლების მოსავლის ხმელი პარკი უნდა ჩაბარდეს მათ პატრონებიდან მთავრობის ცენტრალურ საწყობში, სამტრედიოში ამა წლის 15 აგვისტომდე მთავრობის მიერ ვანახვდრულ ფასებში. 2) დაარსდეს სამტრედიოში შემფასებელი კომისია ქალაქის ვამგეობის, ერობის კოოპერატივთა და პარკის პატრონთა წარმომადგენელთა ვან, მთავრობის მთავარ რწმუნებულის თავმჯდომარეობით პარკის ხარისხის ვამოსარკვევით და მის შესთავსებლათ მთავრობის მიერ დაწესებულ ფასების თარგვლებში. 3) კომისიის დადგენილება სისტულში იქნას მოყვანილი დაუკონფლიგ, 4) უფლება მიეცეს დანიტრესებულ მხარეს ერობი კვირის ვანმავლობაში ვასანოვროს კომისიის დადგენილება მომარავების საბუთში.

კ რ ე მ ე ზ ე დღეს, 7 აგვისტოს საღამოს 6 ს დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. მესაჟე რაიონის კოლექტივის სხდომა.

ს. ს. დ. მ. პ. მეშვიდე რაიონულ კოლექტივში, ხუთშაბათს 7 აგვისტოს დღის 4 ს. შესდგება კოლექტივის წევრთა კრება.

უცხოეთი

იტალიის პრემიერის აზრი რუსეთ-უნგრეთზე.

პარლამენტში ნიტტიმ სიტყვა წარმოთქვა, საცა შეეხო რუსეთის და უნგრეთის შინაურ საქმეებში ჩარევას. მან სთქვა, რომ იტალია არასოდეს არ უნდა ჩაეროს ამ სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში, თუ ეს სახელმწიფოთა იტალიის წინააღმდეგ არ იქნებიან. ამასთანვე მან აღნიშნა, რომ მთავრობა შეეცდება დააბრუნოს ვარები, რომლებიც საზღვარ-გარედ იმყოფებიან.


ამსტერდამის საერთაშორისო ყრილობა პროფესიონალურ კავშირებსა.

14 ივლისის „ტაიმს“-ში მოთავსებულია შემდეგი ცნობები პროფესიონალურ კავშირთა იმ საერთაშორისო ყრილობაზე, რომელიც ამსტერდამში უნდა ვასხილიყო 28 ივლისს: ყრილობამ უნდა ვანიხილოს ის საერთაშორისო მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა საზავო ხელშეკრულების შემდეგ და მოამზადოს მასალები პროფ. კავშირთა საერთაშორისო ყრილობისათვის, რომელიც უნდა ვახსნას ვენევაში 1920 წლის თებერვალში. ყრილობაზე აგრეთვე დაისმება საკითხი პასპორტების მიცემისა იმ კომისიისთვის, რომელიც აირჩია ბერნის კონფერენციამ რუსეთის მდგომარეობის ადგილობრივ შესასწავლად. ყრილობაზე წარდგენილი იქნება ტრედ-უნიონების ყრილობათა საპარლამენტო კომიტეტი და ინგლისის ტრედ-უნიონების ვენერალური ფედერაცია და აგრეთვე შეერთებული შტატების, საფრანგეთის, იტალიის, პოლანდიის, ბელგიის და სკანდინავიის პროფესიონალურ კავშირთა ფედერაციები.

1 აგვისტოს ლიუცერნში უნდა ვახსნილიყო თათბირი ბერნის კონფერენციაზე არჩეულ აღმ. კომიტეტისა. კომიტეტში შედის ორორი წარმომადგენელი ყველა ქვეყნებიდან, რომლებიც კი ბერნის სოციალისტურ კონფერენციაზე იყვნენ წარდგენილნი. თათბირზე მოელოდნენ ბენინგს, ჰენდერსონს და მაკდონალდს ინგლისიდან, ჰვანდერველდე, ანზეველ და ბერტრანის ბელგიიდან, ლონგე და რენოდელს საფრანგეთიდან.

გერმანიის ფინანსიური მდგომარეობა.

30 ივლისს ვერმანიის სახელმწიფო ბანკმა ვამოაქვეყნა ანვარიში ვერმანიის ფინანსიური მდგომარეობისა. ანვარიშიდან სჩანს, რომ ქალაქის ფულების ბეჭდვა ვერმანიაში ყოველ ვვირა იზრდება, უკანასკნელ ვვირაში კი ვამოუციათ ქალაქის ფული 865,500,000 მარკისა. 30 ივლისამდე საერთო რიცხვი ვამოცემულ ქალაქის ფულისა უდრიდა 30 მილიარდს. 1918 წლის 30 ივლისისთვის კი ეს რიცხვი უდრიდა მხოლოდ 12 მილიარდს და 15 მილიონს. მთელი წლის ვადიდება უდრის მასხადავამ 18 მილიარდამდე მარკს. ოქროს რიცხვი მცირდება. 1918 წლის 30 მარტისთვის ამის რიცხვი იყო 2 მილიარდი და 410 მილიონი, 1919 წლის 30 მარტისთვის კი 1 მილიარდი და 920 მილიონი, 30 ივლისისთვის კი უდრის 1 მილიარდა და 120 მილიონ მარკს.



ფოსტის „წასვლი“

საფოსტო ყუთიდან, რომელიც ჩვენი რედაქციის სახელზე დგას მთავარ ფოსტაში, გუშინ სხვა წერილებთან ერთად ოთხი სხვადასხვა მისამართის წერილები მივიღეთ.

ფოსტიდან ჩვენ ხშირად მიგვიღია კერძო პირთა წერილები, გუშინ მიღებული ოთხი წერილი კი ოფიციალურ დაწესებულებათა მისამართისაა.

პირველი წერილი თფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის დირექტორის სახელზე—ხაშურის ვაჟთა გიმნაზიისაგან (№ 287).

მეორე—საქართველოს რესპუბლიკის გზატკეცილებს უფროსის ინჟ. კორინთელის სახელზე (№ 415).

მისი ნაცვლად, რომ ეს წერილები დანიშნულებისამებრ ჩაებარებიან, „ერთობის“ საფოსტო ყუთში უკრეს თავი...

უფრო საყურადღებოა დანარჩენი ორი წერილის ბედი:

ერთი მათგანი გაგზავნილია თფილისიდან ქალაქთა კავშირის კავკასიის კომიტეტის მიერ (№ 50042) აბასთუმანის ქალაქის გამგეობის სახელზე აბასთუმანის წაშლილია, აწერია წითელი მელნით—„თფილისი“, გვერდზე წარწერა აქვს: ადრესატის ვერ ნახვის გამო და სხ. სიანს, წერილი თფილისიდან მიუტანიათ აბასთუმანში, ვერ უპოვიათ იქ ქალაქის გამგეობა და დაუბრუნებიათ თფილისშივე და მისი მავგერათ, რომ ეს ოფიციალური ქალაქი გამგზავნილისთვის ჩაებარებიან, ჩვენს ყუთში ჩაუგდებათ.

მეორე წერილი გაგზავნილია თფილისის ქალაქის გამგეობის მიერ (№№ 7094, 9944) მესამე ვერსტის სადგურზე ვინმე დავიდოვის სახელზე. პაკეტზე არის შემდეგი წარწერა: „მესამე ვერსტის სადგურის დაკეტვის გამო, იგზავნება უკანაგზა“. ეს პაკეტი ჩვენს ყუთში მოუთავსებიათ.

ერთი მოვლენა არის აქ საყურადღებო: ყველა ეს წერილები ოფიციალური ხასიათისაა. დაწესებულებების მიერ ისინი უეჭველად ხელწერილით არის ჩაბარებული ფოსტის უწყებისთვის. ასეთ შემთხვევაში, თუ დანიშნულ ადგილს ვერ მიაღწევს წერილი, უნდა უშუალოდ დაუბრუნდეს გამგზავნელს...

როგორც ხედავთ, ასე დაუბრუნეს!.. თუ ასე უგულოდ, პირდაპირ ბოროტად ეპყრობა ფოსტაში მოხელე ოფიციალური ხასიათის წერილებს, ცხადია, რავგარი დამოკიდებულება უნდა იყოს კერძო წერილებისადმი, რომლის მიღებაში ან ჩაბარებაში მათ არავითარ პასუხს არ სთხოვენ.

ალბათ ბევრი კერძო პირთა წერილები იკარგება ფოსტაში... და ამ მხრით რომ რიგზე ვერ არის საქმე, ეს შემდეგიდანაც სიანს: გუშინ მიღებულ წერილებში რედაქციის სახელზე სამი წერილი აღმოჩნდა მარკაზე შეტანილ დაუკრედილ. ასე რომ, თუ იკარგებთ, თანამათ შეგიძლიათ ეს მარკები აიღოთ და მით ხელახლა ისარგებლოთ.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ასეთი მოვლენების გამოსწორებას, როგორც მოხელეთა, ისე ადმინისტრაციის მხრით...

სომხეთში

პარლამენტის გახსნა.

1 აგვისტოს გაიხსნა გაერთიანებული სომხეთის პარლამენტი. დაესწრო 56 დეპუტატი, მთავრობა და დიპლომატიური წარმომადგენლები. სხდომა გახსნა პარლამენტის უზუცესმა წევრმა ავეტუკ საკიანამ შემდეგი სიტყვით, (მოკვდავს შემოკლებით): ამ ერთი წლის წინ ჩვენი ქვეყანა გარემორტყმული იყო ოსმალეთის ჯარების მიერ, რომლებიც ლამობდნენ მის განადგურებას. მე მაშინ ვაგვხსენი მხმეთის ეროვნული საბჭოს პირველი კრება და იმედი გამოვთქვი, რომ ჩვენი პირობონ-გაფართოვდებოდა. გამართლდა ჩემი მოლოცვა: გაერთიანებული სომხეთის სახელმწიფო დღეს ფაქტია. ხალხმა შეიქმნა თავის დამოუკიდებლობა და იგი არავის დაუთმოვს. მართალია, ეხლა არის ინტრიგები გაერთიანებულ სომხეთში წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენს მოკავშირეებთან ერთად დავებატრონებით ჩვენ ქვეყანას, რომელიც მორწყულია ჩვენი გმირების სისხლით. პარიზის კონფერენციის მიერ გაერთიანებული სომხეთი თითქმის უკვე ცნობილია, მაშინ უძღვნიტ ჩვენ დიდ მოკავშირეებს თფილისს, ამერიკას, საფრანგეთს, რუსეთს და სხვას მათი წარმომადგენლების სახით, რომლებმაც გადაგვარჩინეს ჩვენ (ოვაციები). მხოლოდ ერთი აგრეთვე ჩვენ მეზობლებს საქართველოს, სპარსეთს, აღერბეიჯანს და ვლადიკავკასიის დამოუკიდებლობის გასაძვრებას და აყვავებას. მე მივულოცავ ჩვენ ჯარს, რომელიც მხოლოდ იცავს ქვეყანას გარეშე და შიგნით მტრებისაგან (ოვაცია). ჩვენი ქვეყანა

ჯერ კიდევ მოუწყობელია, მრავალი კითხვებითაა გადასატარელი და რეფორმები გასატარებელი, რისთვისაც ჩვენ ვართ მოწოდებული. გაუმარჯოს სომხეთის პირველ არჩეულ პარლამენტს (ტაში და ოვაციები).

სამხედრო მოქმედებანი.
ლამით, 31 ივლისს, ბოიუკედის რაიონში 10 თათარი შეეცადა ჩვენ შუა რაზმს მოახლოვებოდა. ისინი დროზე იქნენ შეჩერებული და განდევნილი.

შეიკლ-კიუსტანის, კარა ტალუხის და ანდიბულაგის მიდამოებში შემწეულია 200 ისმალო ჩეტნიკი, სხვა რაიონებში წესიერებაა.

3 აგვისტოს 300 თათარი გადმოვიდნენ არაქსს და დიკავესს რა სოფლები ნალისუ და შადნუ, წამოვიდნენ დავალასაკენ. ჩვენებმა დაიბრუნეს სოფელი ხალისუ და გადარეკეს თათრები თხრილის იქით.

ბოიუკედის მიმართულებით თათრები, რომლებიც შეტევაზე გადმოვიდნენ, სრულიად დამარცხდნენ და გადარეკელ იქნენ ბოიუკედის იქით. თათრებმა დაკარგეს 100 კაცზე მეტი. ჩვენ თხრილებთან მათ დატოვეს 45 მკვდარი. ჩვენი დანაკლისი: 7 მოკლული და 18 დაჭრილი. ჩვენი ჯარის სულიერი განწყობილება კარგია.

მოხალისეთა ჯარის საგაფორმეო

ქართველების და სომხების მოხილიზაცია.
ნოვოროსისკის ვაზეთ „ჩერნომორსკაია ვაზეტა“ 13 ივლისის ნომერში შემდეგი ოფიციალური ბრძანება დაბეჭდილი:

„სამხედრო სამმართველოს უფროსი განმარტავს: 1) ქართველები, რომლებიც ამიერ-კავკასიაში არიან დაბადებულნი და სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალების რაიონში გადმოსახლებულან 1914 წლამდე, ითვლებიან ამ რაიონის მკვიდრებათ და ჯარში გაწვეულ იქნებიან საერთო წესით. 2) ქართველებმა, რომლებიც გადმოსახლებულან ამ რაიონში 1914 წელს და შემდეგაც, წერილობით უნდა განაცხადონ, რომ ისინი არ სცნობენ რუსეთის სახელმწიფოებრიობას და არ აქნებიან გაწვეულნი ჯარში. 3) ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებს 7 დღის განმავლობაში პასუხისმგებამ იქნება მიცემული და დაისჯება სამხედრო დროის კანონების დამხედვეთ.

ეკატერინოდარის ვაზეთ „ვერნი კურიერის“ 12 ივლისის ნომერში შემდეგი ოფიციალური ბრძანება დაბეჭდილი:

„დამატებითი ბრძანების თანახმად ცხადდება, რომ ყველა სომხები, ამიერ-კავკასიაში დაბადებულნი 1885—1900 წლებში, რომლებიც გადმოსახლებულნი არიან სამხრეთ რუსეთში 1891 წლამდე და ეხლა კი მოწადინებენ სამსახურს თავის სამშობლოში სომხურ ჯარის ნაწილებში—თავისუფალი არიან ჯარში გაწვევისაგან. ეს უფლება ვრცელდება იმ სომხებზე რომლებიც 25 აგვისტომდე ჩაუწერებიან სომხეთის წარმომადგენელთან“.

ჩიონის გზაზე

სად. ზმსტავროსი არის ბილეთების გამოცემის ვინმე ცკატიშვილი, რომელიც მოურიდებლათ ძარცვავს ხალხს. ვისაც კი შენიშნავს, რომ ბილეთის ფასი არ იცის, ახდენენ მტრს და არ აძლევს ხურდას. 29 ივლისს მატარებელ № 4 წასასვლელ ბილეთში სოფ. ცხრა წყაროელ გლეხს ვასილ ჩიხლაძეს გადაახდენია სად. გომამდე 29 მანეთი, 23 მან. და 15 კაპიეკის მაგიერ. შევიწინე თუ არა ეს, დავუბახე რკ. გზის მილიციონერ ნოზაძეს, ცკატიშვილმა, როგორც კი იგრძნო ეს, გადმოუგდო ხსენებულ გლეხს 6 მანეთი უსიტყვოთ; აღნიშნულ პირებს გარდა ამის დაამტკიცეს იმ გლეხის სტუმარი ვასილ ხეთაძე. მე პირადათ ხშირათ მიხდებო ამ სადგურზე ბილეთის აღება და ბევრჯერ შემიწინააღმდეგე ცკატიშვილის ასეთი მოქმედება. მივაქციე რა ამ გარემოებაზე ყურადღება ვისიც ვერ არს, იმედო მიქცე იქნება მიღებული ზომები. თუ საჭირო იქნება, მე მხათ ვარ კიდევ მეტი საბუთები წარვადგინო ცკატიშვილის წინააღმდეგ.

სად. ძირულა. ა. ებანიძე.

რუსეთის სსრ-ის

რ. ს.-დ. მ. პ. თათბირი.
ამა წლის დამდეგს მოსკოვში შესდგა პარტიული თათბირი რუსეთის ს. დ. მ. პარტიისა, რომელსაც დაესწო რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებიდან 34 წარმომადგენელი გადასმკრული ხმით. თათბირზე დასმული იყო სხვადასხვა საკითხები. მარტოვმა ვაკეთა მოხსენება: „საერთაშორისო მდგომარეობა და რუსეთის რევოლუციის მიზნები“, რის შესა-

ხებ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია:

1) იმპერიალისტურ წინააღმდეგობაში აღმოცენებულ საერთაშორისო ომს მივყვართ კაპიტალისტური საზოგადოების დამარცხებისაკენ, რომელი ასრიც წინასწარ გამოთქმული აქვს სოციალ-დემოკრატის. ეს დამარცხება იმაში გამოიხატება, რომ მიიყვანეს რა მთელი ევროპა საერთო განადგურებისა და ეკონომიურ გალატაკებამდე, კაპიტალისტურმა მთავრობებმა ველარ შესძლეს ომის ლიკვიდაცია ისეთ საფუძვლებზე, რომლებიც ცოტად თუ ბევრათ უზრუნველ ჰყოფდეს სახელმწიფოთა მშვიდობიან ცხოვრებას, რომ მათ ვერ შესძლეს ევროპის გამოყვანა სამხედრო მდგომარეობიდან; რომ მუშათა კლასი უკვე იღებს თავის ხელში პოლიტიკურ ძალა უფლებას დაწინაურებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომლებთანაც კი განუცდიათ სამხედრო დამარცხება. ასეთი დამარცხე ა კაპიტალიზმისა დაწინაურებულ ქვეყნებშიც აუცილებელივ ასევე თავის ბეჭედს უფრო ჩამორჩენულ ქვეყნებსაც, სადაც ომმა უკვე აღგვა ყველა ნაშთი წინააღმდეგობის ურთიერთობისა.

2) კაპიტალისტურად დაწინაურებულ ქვეყნებში სოციალური წინააღმდეგობის უაღრესად გამწვავების გამო პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების ხელში აღება მუშათა კლასის სოციალისტურ აგნავარდს წინ უყენებს ორ მიზანს: ერთის მხრივ ომის მიერ განადგურებულ საწარმოვო ძალთა აღდგენა და საზოგადოების გამოყვანა გადაშენების, ბარბაროსობის და სიღატაკის მდგომარეობიდან, რომელშიც ის ჩაფარა 4 წლის იმპერიალისტური სტიქიის ბატონობის გამო; მეორეს მხრივ ამ მიზნის ასრულების პროცესში ძირითადი როლი განიზაცია საზოგადოებრივი მეურნეობის სოციალიზმის საფუძვლებზე, ურომლისოდაც საწარმოვო ძალთა აღდგენა წარმოსადგენია მხოლოდ მშრომელ მასსების უაღრესად გალატაკებისა და დამონების ხარჯზე. 3) ასეთი გადახარბთვა არსებითად კონსერვატიული მიზნისა სახალხო მეურნეობის დაცვის შესახებ განადგურებისა და გადაგვარებისა და მეტად რევოლუციური მიზნისა წარმოების რეორგანიზაციის და საკუთრების ურთიერთობის დამხვრევის შესახებ აყენებს პროლეტარიატს მეტად მძიმე პირობებში, რადგანაც 4 წლის ომმა ჩამოაშორა მასსების დიდი ნაწილი რევოლუციურ წარმოებით შრომას, და აქვეითა თვისებითი შემადგენლობა პროლეტარიატისა, ძირს დასცა ფიზიკური ძალები და მუშელ მცხოვრებლებისა. და უპირველესად ყოველისა იმ მიზნების გადაჭრას, რომლებიც აქვს პროლეტარიატს, წინ უდგას ის პოლიტიკური და ეკონომიური დამოკიდებულება, რომლებშიც ვარდებიან რევოლუციური ქვეყნები გამარჯვებულ ინგლისურ-ამერიკული იმპერიალიზმისაგან, რომელმაც ხელთ იგდო მონოპოლია მთელი ნედლი მასალის წყაროებისა და რომელიც მისწრაფის დაიმონოს მთელი კაცობრიობა და რომელსაც მიზნად აქვს პროლეტარიატის სოციალური რევოლუციის დამარცხება. 4) რომ გადალახოს ყველა ეს სიძნელე და გამოვიდეს გამარჯვებული, რევოლუციური ქვეყნების პროლეტარიატმა უნდა: 1) გააფართოვოს რევოლუციის ასპარეზი შიგ ახალი ქვეყნების ჩარევით; 2) წინააღმდეგობა გაუწიოს გამარჯვებულ იმპერიალისტურ კოალიციას, რომელსაც მიზნად აქვს განაცალკევოს გერმანიის და ავსტრიის სოციალისტური პროლეტარატი უფრო ჩამორჩენილ რევოლუციურ ქვეყნებისაგან; პირიქით პროლეტარიატი უნდა შეეცადოს ამ ქვეყნების მკიდრო პოლიტიკურსა და ეკონომიურ დაახლოვებას, რომ ერთმანეთს დაეხმარნენ სამეურნეო რესურსებით და რომ დაეყარდეს მკიდრო თანამშრომლობა საწარმოვო ძალთა აღსადგენად; 3) შეეცადოს, რომ სოციალურ გადასხვაფერებას და პროლეტარულ რევოლუციას მიემხროს ნაკლებად მკონე არა პროლეტარული ნაწილი მცხოვრებლებისა, რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი კაპიტალის ბაზონობით, და ამავე დროს დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს მათ ინტერესებს სოციალური ტენილების გარდამავალ ხანაში და ამით უზრუნველ იყვეს მათი რაც შეიძლება ნაკლები ტვივლებით გადასვლა ახალ სოციალურ წყობილებაში; 4) რაც შეიძლება საჩქაროდ მოახდინოს ლიკვიდაცია იმ კომპრომისებისა მილიტარისტურ და კაპიტალისტურ გავფხვბთან, რომლის გავითება უხდება პროლეტარიატს გამარჯვებულ ინგლის-ამერიკული კოალიციის ძალდატანებით, და რომლებიც ყოველ ნაბიჯზე სპობენ რევოლუციის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში; 5) შეინარჩუნოს საკუთარი კლასიური ერთიანობა და დასძლიოს ყველა ტენდენციები ანარქიის, საზოგადოებრივი კონფების დატაკების და სიმდიდრის დაყოფისა, რომლებიც თავს იჩენენ ხალხის ფართო მასსების დეკლასიურ ელემენტებში და თვით ქალაქის

და სოფლის პროლეტარიატის ჩამორჩენილ წრეებშიც.

რომ მიღწეულ იქნა პროლეტარიატის ძალა-უფლების მთელი კლასისა, რომელიც მოწოდებულია მთელი კაცობრიობის გათავისუფლების ისტორიულ მისიისათვის, უნდა ცნობილ იქნეს მცხოვრებთა უმრავლესობის მიერ, უნდა მოქმედებდეს როგორც ასეთი და ემყარებოდეს მოქალაქეთა ფართე თვითმართებლობას, პოლიტიკურ თავისუფლებას და მასსების აქტიურ თვით მოქმედებას. ტაქტიკა, რომელიც მისწრაფის პროლეტარიატის კლასიური დიქტატურა გადააციოს სახელმწიფოზე და საზოგადოებაზე მართებლობათ მცხოვრებთა ყველა არა პროლეტარული წრეების პოლიტიკურ უფლებობაზე, მით უმეტეს თუ ეს დიქტატურა პროლეტარიატის ერთი ნაწილისა; პოლიტიკა, რომელიც უარყოფს პროლეტარულ რევოლუციის უმთავრეს პოლიტიკურ მიზნებში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროებში დემოკრატის პრინციპების თანდათანობით გატარებას—რომელ პრინციპებსაც ბურჟუაზიული რევოლუციები წამოაყენებდნენ ხოლმე და არც ერთხელ კი არ განუხორციელებიათ ბურჟუაზიის ბატონობის დროს—ამ გვარი პოლიტიკა ეწინააღმდეგება სოციალურ გარდაქმნის მიზნებს, საწარმოვო ძალთა აღდგენის საქმეს წინ ელობება და ვერ ანეითარებს მით, ურომლისოდაც სოციალიზმი წარმოუდგენელია და ამით მიჰყავს პროლეტარული რევოლუცია დამარცხებისაკენ, აშორებს რა რევოლუციის მშრომელთა ფართო მასსებს. 5) მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება მკიდროდ დამოკიდებულია სხვა სოციალურ ურთიერთობათა წარმომდგარ რუსეთის რევოლუციის გამარჯვებასა და განვითარებაზე, რამდენადაც ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს რევოლუციური ევროპის ზურგს და აძლევს შესაძლებლობას, რომ მან ისარგებლოს აუარებელი ბუნებრივი რესურსებით ევროპიული აღმოსავლეთის. ეკონომიური გარდაქმნის საქმისათვის. თავის მხრივ მხოლოდ სოციალისტური გარდაქმნით ევროპის საწარმო ძალთა აღდგენის საშუალებით რუსეთის რევოლუცია პოვებს დასაყრდნობს თავისი საკლასო ბუნებრივი რესურსების განსავითარებლად და თავისი სახალხო მეურნეობის აღსადგენად ისე, რომ არ იყვეს ეკონომიურად დამონებული და მის ხალხის მასსები კი გლატაკებული. 6) მაგრამ რომ ამგვარი სა-მეურნეო და პოლიტიკური ურთიერთობა შესაძლებელი გახდეს, რუსეთის რევოლუციამ უნდა გადაიტანოს ის კრიზისი, რომელიც გამოიხატება საწარმოვო ძალთა გაუთავებელ დაცემაში, შრომის ნაყოფიერების კატასტროფულ დაქვეითებაში, ქვეყნის ძირითადი კაპიტალის დახარჯვაში და ქალაქის პარაზიტად გადაქცევაში, რომელიც სულ ცოტას და ცოტას აძლევს სოფელს, რომლის პროდუქტებით ის ცხოვრობს. 7) ეს მთავარი მიზანი რუსეთის რევოლუციისა ვერ განხორციელდება, თუ მან უარი არა სთქვა მთელი სახალხო მეურნეობის დაუყონებლივ სოციალიზაციაზე, რომელიც საწარმოვო ძალთა ეხლანდელი საფუძველზე და პროლეტარიატის შედარებით მცირე როლის დროს ქვეყნის მთელ სამეურნეო ცხოვრებაში. ის შეუძლებელია, თუ არ აღსდგა კავშირი პროლეტარიატისა და სხვა მშრომელ მასსებს შორის, რომლებიც სხვანაწი წარმოადგენენ მთელი რევოლუციის ნიადაგზე, მასსადაც პროლეტარიატმა, და მით უმეტეს მისმა ერთმა ნაწილმა, ხელი უნდა აიღოს მთელ დანარჩენ დემოკრატიაზე დიქტატორად ან-და უნდა გადასხვაფერდეს სასელმწიფოს მმართველობა ისე, რომ შიგ იღებდეს მონაწილეობას მშრომელთა ყველა ნაწილები, უმთავრესად კი საშუალო გლეხობა. ასეთი პოლიტიკური კავშირი განუხორციელებელია თუ წვილი ბურჟუაზიულმა ქალაქმა და სოფლის დემოკრატმა გადატეხილი არ უარყო პოლიტიკური კავშირი ბურჟუაზიულ კლასებთან და პარტიებთან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან კონტრ-რევოლუციის გამარჯვებაში და საწარმოვო ძალთა აღდგენას გულისხმობენ მშრომელ კლასებზე მძიმე უღლის დადგმა.

გამოდის რა ამ დებულებებიდან, რ. ს.-დ. მ. პ. ადვენს: ა) მთელი ძალდონით მხარი დაუჭიროს გერმანიის რევოლუციას, როგორც საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის აგნავარდს და გამოაცხადოს თავისი სოლიდარობა გერმანიის დამოუკიდებელ მუშათა პარტიის პოლიტიკის მიმართ; ბ) ხელი შეუწყოს საერთაშორისო სოციალისტური და მუშათა კონფერენციების მოწვევას საერთაშორისო პროლეტარიატის ძალთა შესაკავშირებლად, რომ დაეცულ იქნეს სოციალისტური რევოლუცია იმ საფრთხისაგან, რომელსაც უმზადებს მან იმპერიალისტური კონტრ-რევოლი-

